ხელშეკრულება №W-36

ქ. თბილისი 21“ნოემბერი ” 2019 წ.

ერთი მხრივ, შპს “საქართველოს ფოსტა”, წარმოდგენილი მისი ფინანსური დეპარტამენტუს უფროსის ლაშა ჯაფარიძის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ, შპს „საჩუქრები 95“ (შემდგომში „მიმწოდებელი“),წარმოდგენილი მისი დირექტორის სერგო გეგეჭკორის სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებ შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

1.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: საჩუქრების შესყიდვა. (CPV კოდი: 18530000)

№	საქონლის დასახელება	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი	საქონლის ჯამური ღირებულება
1	წიგნი“ვეფხისტყაოსანი“ (მოვარაყებული)	1 ცალი	450.00 ლარი	450.00 ლარი
2	მინიატურა „ირემი“	1 ცალი	185.00 ლარი	185.00 ლარი
3	სუვენირი „კერამიკული ჩოხა“	2 ცალი	30.00 ლარი	60.00 ლარი

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 695,00 ლარი *(ექვსას ოთხმოცდათხუთმეტი)* ლარს.

2.1 ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

3. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ქ.თბილისი,რუსთაველის გამზ.N26

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს , არაუგვიანეს ***2019 წლის 22 ნოემბრის ჩათლით.***

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

4.3 შპს „საქართველოს ფოსტა“-ს მხრიდან სასაქონლო ზედნადებზე ხელისმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ღონისძიების დაგეგმვის მენეჯერეი ეკატერინე ხვადაგიანი.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. **შემსყიდველის უფლება აქვს:**

5.1.1. შეამოწმოს შესყიდვის მახასიათებლების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

5.1.2. რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობოს და მოსთხოვოს მიმწოდებელს ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორება.

5.1.3. მოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისერი შესრულება.

5.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**

5.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

5.3. **მიმწოდებელს უფლება აქვს:**

5.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.4. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

5.4.1. უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულება.

5.4.2. შემსყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი შესყიდვის ობიექტი, რომელიც არ გამოავლენს დეფექტებს.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი სასაქონლო ზედნადები.

6.3. მიმწოდებელთან ***ანგარიშწორება ხორციელდება 10 (ათი) სამუშაო დღეში***. 6.2. პუნქტში მითითებული მოთხოვნების საფუძველზე.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი ფორმით.

7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

7.5. მხარე ვალდებულია 7.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

7.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

8.2. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. სადავო საკითხების გადაწყვეტა

9.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2. თუ მხარეები მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების კონტროლი

10.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შპს „საქართველოს ფოსტას“ ღონისძიების დაგეგმვის მენეჯერი ეკატერინე ხვადაგიანი.

10.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი.

10.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

10.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მათი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12. განსაკუთრებული პირობები

12.1. ხელშეკრულება შედგენილია 1 (ერთი) ელექტრონულად ხელმოწერილ ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

„შემსყიდველი“	**“მიმწოდებელი”**
შპს “საქართველოს ფოსტა”	შპს „საჩუქრები 95“
ს/კ: 203 836 233	ს/კ: 203826654
მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი #2	მის. ქ.თბილისი,რუსთაველის გამზ.N26
ს/ს “საქართველოს ბანკი”	ს/ს “საქართველოს ბანკი”
ბანკის კოდი: BAGAGE22	ბანკის კოდი BAGAGE22
ანგარიშის №GE13BG0000000123286800	ანგარიშის №: GE84BG0000000346237500
---	---
ლაშა ჯაფარიძე	სერგო გეგეჭკორი
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი	დირექტორი